ეროვნული ბიბლიოთეკა

25
თებერვალი
კვირა,
№ 40 (1891)
1962 წ.
გამოცემის მე-18 წელი,
ფასი 3 კაპ.

გმირთა და ბრძენთა დედავ,
მზეზე მხურვალე ხელით
დიად მომავალს ვჭედავთ
ორმოცდა ერთი წელი.

ნახ. გ. იაშვილისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

დღეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები აღნიშნავენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 41-ე წლისთავს.

დიდია ქართველი ხალხის მიღწევები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხელისუფლების დროშით განვლილ ამ 41 წლის პერიოდში. ჩვენი სამშობლო მეფის რუსეთის დამონებული კუთხიდან კუსტარული მრეწველობითა და ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობით, გადაიქცა მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად მაღალგანვითარებული ინდუსტრიითა და საბჭოთა კოლექტიური მეურნეობით, რესპუბლიკად, რომელიც დღეს მოძმე სოციალისტურ ხალხებთან ერთად აშენებს კაცობრიობის ნათელ მომავალს — კომუნისტურ საზოგადოებას.

დღეს საბჭოთა საქართველო ღირსეულად ამაყობს თავისი წვლილით, რომელიც მან შეიტანა საბჭოთა ხალხების კეთილშობილურ ბრძოლაში პროგრესისა და მშრომელთა საყოველთაო ბედნიერებისათვის. ახალი ცხოვრების მშენებლობის გზაზე ქართველმა ხალხმა კიდევ უფრო მაღლა ასწია თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურა და ახალ, სოციალისტურ საფუძველზე დააყრდნო იგი, ჯერარნახული ტემპებით წარმართა ბრძოლა მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა მძიმე ინდუსტრიის დარგში, ისევე როგორც სოფლის მეურნეობაში, რომელთა პროდუქციაც ახლა უკვე მთელს მსოფლიოში სარგებლობს დამსახურებული პატივით. პატარა საქართველო დღეს უკვე დასავლეთის ბევრ წამყვან ქვეყანას უსწრებს მთელ რიგ დარგებში, რომელთა შორის აღსანიშნავია მარგანეცის მოპოვება, ფოლადის დნობა, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოყვანა, მევინეობა-მეღვინეობა, ხელოვნება და კულტურა, სახალხო განათლება, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება და ა. შ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ, მისმა ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და ახალმა პროგრამამ კიდევ უფრო ფართო პერსპექტივები დასახეს, კერძოდ, ქართველი ხალხის წინაშეც ყველა ამ სფეროში ახალი, კიდევ უფრო ბრწყინვალე გამარჯვებების მოსაპოვებლად.

საქართველოს ამ გამარჯვებათა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ფიზკულტურასა და სპორტს. ქართული საბჭოთა სპორტის სახელი და დიდება დღეისათვის უკვე არა ერთ და ორ საერთაშორისო ასპარეზზე დაუცავთ ჩვენი რესპუბლიკის შესანიშნავ სპორტსმენებს — მოჭიდავეებს, კალათბურთელებს, ფეხბურთელებს, წყალბურთელებს, მოფარიკავეებს, მძლეოსნებს, ჩოგბურთელებს, მოჭადრაკეებს... მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ხოლო რაც შეეხება საქართველოში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის დაყენების საქმეს და მის ფართო გაქანებას მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის, აქ მოპოვებულ მიღწევებს ინატრებდა რომელიც გნებავთ კაპიტალისტური ქვეყანა.

დღეს საბჭოთა საქართველო ზეიმობს თავისი არსებობის 41-ე წლისთავს.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და მის ამ ძლევამოსილ მსვლელობას მოძმე ხალხების მხარდამხარ, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით!

სამი დისტანცია, სამი ოქროს მედალი

ყოველი დიდი მასშტაბის შეჯიბრებაზე შეიძლება შეხვდეთ სუვენირებზე „მონადირე" ადამიანებს. მათ აინტერესებთ ყველა უცხოელის ავტოგრაფი, სამკერდე ნიშანი და სხვა მისთანანი. სუვენირებზე მონადირენი საკმარისზე მეტია ზაკოპანეშიც, რომელთა შორის თავისებური რეკორდი დაამყარა ი. ბიალსმა. იგი ყველა სასტუმროსა და პანსიონატის სტუმარია. მაგრამ განსაკუთრებით უყვარს სასტუმრო „სენკევიჩევკა", რადგან აქედან არასოდეს ბრუნდება ხელცარიელი, საბჭოთა მოთხილამურეებმა აქ არაერთხელ დააჯილდოვეს პატარა გულშემატკივარი.

განსაკუთრებით გაიხარა იანისმა ქალთა ესტაფეტაში 3X5 კმ-ზე შეჯიბრების დამთავრების შემდეგ. აქ უკვე პირველ ეტაპზე დაწინაურდა ლ. ბარანოვა, რომელმაც შვედ და ფინელ მოთხილამურეებთან ბრძოლაში პირველმა დაამთავრა ესტაფეტა თავის ეტაპზე. მ. გუსაკოვამ თანაგუნდელის „ნადავლს" ახალი წარმატება მიუმატა და როცა მესამე ეტაპზე სტარტი აიღო ზაკოპანეს მსოფლიო პირველობის ორი ოქროს მედლის მფლობელმა, ა. კოლჩინამ, მარაგში 50 წამზე მეტი ჰქონდა გუნდს.

ა. კოლჩინამ ჩვეულ ტემპში განვლო თავისი ეტაპი და უახლოვდებოდა ფინიშს, სადაც მას ჩემპიონის მესამე ოქროს მედალი ელოდა. როცა ა. კოლჩინამ დაამთავრა შეჯიბრება, წამზომებმა აღნიშნეს 58.08,9. გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა, ეს კი ნიშნავდა რომ მოსწავლე იანისი ახალ სუვენირებს მიიღებდა. 1.19 წუთის შემდეგ მოვიდნენ ფინიშთან შვეციის მოთხილამურეები, რომლებმაც მეორე ადგილი მოიპოვეს. ფინელები დარჩნენ მესამე ადგილზე — 1:01.33.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის მოთხილამურე ქალებმა ყველა დისტანცია მოიგეს და მოიპოვეს 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი.

მსოფლიო ჩემპიონატი დღეს მთავრდება.

საპასუხო ვიზიტით

შვეციაში ამას წინათ მოეწყო ამ ქვეყნისა და სსრ კავშირის ჰოკეისტთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. ამის შემდეგ შვედი სპორტსმენები საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდნენ მოსკოვში, სადაც შედგა სსრ კავშირის ნაკრებისა და შვეციის ახალგაზრდული ნაკრების მატჩი. საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა აშკარა იყო. მათ მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 8:1.

მოტორბოლა ყინულზე

ციგურებში მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, გაიმართა მოტოციკლისტთა საერთაშორისო შეჯიბრება ყინულზე, რომელშიც საბჭოთა წარმომადგენლებთან ერთად გამოვიდნენ შვედი და ფინელი სპორტსმენები. შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ ფ. შაინუროვი, ზ. სამოროდოვი (სსრ კავშირი) და შვედი ჰ. ზიოდერმანი.

მეორე დღეს უფრო საგრძნობი გახდა ჩვენი სპორტსმენების უპირატესობა. პირველი ადგილი მოიპოვა ვ. ნერიტოვმა, მეორე — ფ. შაინუროვმა, მესამე — ზ. სამოროდოვმა. მომდევნო 2 ადგილის მფლობელები გახდნენ შვედები — ბ. ჰიორნფელდი და ჰ. ზიოდერმანი.

მძლეოსანთა პირველი სტარტი

მუკაჩევოში გაიმართა მძლეოსანთა პირველი სტარტი მიმდინარე სეზონში. აქ კროსმენთა საკავშირო ჩემპიონატზე თავი მოიყარა 250 მორბენალმა.

1 კმ დისტანციაზე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა კიეველმა მძლეოსანმა ლ. ლისენკომ. 2 კილომეტრზე რბენაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა თ. ბაზენცევამ.

საინტერესო და მოულოდნელობით იყო აღსავსე ვაჟთა შეჯიბრებანი. 5 კმ რბენაში გამარჯვების ძირითად პრეტენდენტად თვლიდნენ ერევნელ ოსტატს ა. კონოვს, ხოლო 14 კილომეტრზე რბენაში — პ. ბოლოტნიკოვს და ა. არტენიუკს, მაგრამ ორივე შემთხვევაში ფინიშზე პირველები იყვნენ შედარებით ნაკლებად ცნობილი მძლეოსნები. 5 კმ რბენა მოიგო ლ. ივანოვმა (ფრუნზე), ხოლო 14 კმ — ფ. ხუზინმა (პერმი).



◆

სურათზე: მსოფლიოს 1962 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ციგურებით რბენაში ი. ვორონინა.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

◆

ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის შვიდწლიანი სკოლის (დირექტორი რ. თუთბერიძე) მოსწავლეებს უყვართ ფიზკულტურის მასწავლებელი დიდიმ გელაშვილი, უყვართ იმიტომ, რომ მისი ერთი გაკვეთილი მეორეს არა ჰგავს — მომდევნოში რაღაც ახალი და საინტერესოა ჩართული. მძლეოსნობის სპეციალისტმა სულ ახლახან ჩამოუტანა მოსწავლეებს ბადრო და მონდომებით უხსნის ბავშვებს მათთვის მანამდე უცნობი იარაღის ტყორცნის ტექნიკას.

ფოტო გ. სამსონაძისა.

სპორტული კლუბის გეგმები

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ფიზკულტურულ კოლექტივს 2 ათეულზე მეტი წლის ისტორია აქვს. ამ კოლექტივის პირველი ნაბიჯების მომსწრეა სიყვითლე შერეული სიგელები და ფერგადასული ვიმპელები, რომლებსაც სათუთად ინახავს ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი გ. დვალი, ახალ გამარჯვებათა საილუსტრაციოდ კი გასულ წელს რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე მოპოვებული 24 საპრიზო ადგილი, 2 გარდამავალი თასი, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა და საკავშირო კომიტეტის საპატიო სიგელიც კმარა.

კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვამ მოუტანა ამ კოლექტივს სპორტული კლუბის საპატიო წოდება. „ფეიქარი“ — ასე შეარქვეს ამ მონოლითურ კოლექტივს, რომლის წევრები 22 სპორტულ სექციაში არიან გაერთიანებული. სადაც მასობრიობაა, იქ სპორტული შედეგებიც ჩანს: სპორტის 2 ოსტატი, 15 პირველთანრიგოსანი, 39 მეორეთანრიგოსანი, 146 მესამეთანრიგოსანი და 112 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი — აი კომბინატის საბრძოლო ავანგარდი, რომელსაც უნარი აქვს პოპულარიზაცია გაუწიოს სპორტს და ფიზკულტურულ საქმიანობაში ჩააბას დანარჩენი ამხანაგებიც.

კომბინატის ქალები მასობრივად არიან ჩაბმული ფიზკულტურულ მოძრაობაში. შემთხვევითი არ არის ის, რომ აქაურმა სპორტსმენებმა ქალთა ტრადიციულ სპარტაკიადაზე პირველი ადგილი დაიკავეს.

საამქროს ოსტატი ინჟინერი ნ. ლობჟანიძე პირველთანრიგოსანი კალათბურთელი და საზოგადოებრივი მწვრთნელია. სართავი საამქროს ქვეოსტატი ჩ. ჯავრიშვილი თანრიგოსანი მსროლელია. მოწინავე მუშა ხ. ძარუხანოვი პირველთანრიგოსანი ფრენბურთელი, გუნდის თავი და საზოგადოებრივი ინსტრუქტორია. პირველთანრიგოსანი ქალები ტ. ფრიდინსკაია და ზ. კაჩკალდა შესაბამისად კალათბურთითა და ფრენბურთით არიან გატაცებული. მეორეთანრიგოსანი მძლეოსანი მ. ახობაძე მშვენივრად უხამებს ერთმანეთს მუშაობას, უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლასა და სპორტში მეცადინეობას. კომბინატის ბაზებზე შეასრულეს ოსტატობა წყალში მხტომელმა ვ. ფილატოვმა და ტანმოვარჯიშე ს. ოვანეზოვამ.

კარგი ტრადიციები აქვს კომბინატში ტურიზმის განვითარებას. აქტიური დასვენების მოყვარულნი შარშან ეწვივნენ არმაზს, ბეთანიას, გელათს, თელავს.

კლუბთან შექმნილია ბავშვთა სპორტული სკოლა, სადაც იზრდება ცვლა სპორტის 7 სახეობაში.

გ. დვალის, ახალგაზრდა ინსტრუქტორის ვ. ასანიძის, მეთოდისტ ლ. დუდკინასა და სხვა აქტივისტების მთელი ყურადღება ამჟამად გადატანილია კლუბის სერიოზული ამოცანის გადასაწყვეტად: „ფეიქარის“ სპორტსმენებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ კლუბების საკავშირო შეჯიბრებაში. მათ ძლიერ მეტოქეებთან მოუწევთ ძალების გამოცდა მძლეოსნობაში, სიმძიმეების აწევაში, ტანვარჯიშში, ველოსპორტსა და ცურვაში. შეჯიბრების დებულების თანახმად კლუბს შეუძლია მხოლოდ მძლეოსნობაში გამოიყვანოს მეორეთანრიგოსანი სპორტსმენები, დანარჩენ სახეობაში კი მხოლოდ პირველთანრიგოსანი სპორტსმენები დაიშვებიან. კლუბის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს შეჯიბრებაზე მხოლოდ პირველთანრიგოსანი სპორტსმენები გაიყვანოს. ეს შესაძლებელია დარჩენილი დროის (შეჯიბრება ტარდება ივლის-აგვისტოში) რაციონალურად გამოყენებით.

კლუბს ამ ამოცანის გადაწყვეტა მნიშვნელოვნად გაუადვილდება თუ დირექცია, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები იზრუნებენ სპორტული დარბაზის მოსაწყობად, საცურაო აუზის გასათბობად და სპორტული ინვენტარის შესაძენად. გარდა ამისა, ამ დიდ კომბინატს დღემდე მხოლოდ ერთი მეთოდისტი ჰყავს, რომლისათვისაც უკვე საკმაოდ ძნელია სპორტული კლუბის წევრთა მზარდი რაოდენობის გაძღოლა.

ზ. ქურხული

სურათზე: ინსტრუქტორი ვ. ასანიძე, უფროსი ინსტრუქტორი გ. დვალი და მეთოდისტი ლ. დუდკინა საუბრობენ კლუბის მომავალ გეგმებზე.

ფოტო ე. გერმესაშვილისა.

ასეთია ჩვენი ვალდებულებანი

✦

შ. მეავანაძე,
აჭარის ასსრ სპორტკავშირის თავმჯდომარე.

✦

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის აჭარის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ყრილობის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, 14 ოქტომბრისათვის შეასრულეს ნიშნოსანთა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გეგმები და თვითვალდებულებანი.

1961 წელი ნაყოფიერი იყო აჭარის ფიზკულტურული ორგანიზაციებისათვის. აჭარის უძლიერესმა სპორტსმენებმა 159 შესწორება შეიტანეს რეკორდების ცხრილში. 26-მა სპორტსმენმა მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის საპატიო წოდება. ასევე წარმატებით მონაწილეობდნენ ჩვენი წარგზავნილები საქართველოს სსრ ნაკრებ გუნდებში საკავშირო პირველობაზე.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ყველა სპორტულ ღონისძიებაში, რომლებიც საქართველოს სპორტკავშირმა ჩაატარა და მათგან პირველი ადგილები დაიკავეს საიალქნო, საწყლოსნო-სამოტორო სპორტში და მაგიდის ჩოგბურთში, მეორე ადგილები — მძლეოსნობაში, სიმძიმეების აწევაში, ჩოგბურთში, წყალში ხტომაში, ტყვიით სროლაში, ჰოკეიში, კლასიკურ ჭიდაობაში, ხელბურთში და ა. შ.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისა და ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცების საქმეში. 1961 წელს ფიზკულტურელთა რაოდენობა გაიზარდა 1500 კაცით. ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის, საზღვაო სასწავლებლის, ჩაქვისა და ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობების, სოფელ ბობოყვათის ფიზკულტურული კოლექტივები არაერთხელ გამოსულან გამარჯვებული სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებულ სოციალისტურ შეჯიბრებებში.

რა თქმა უნდა, წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციები კომკავშირის ორგანიზაციებთან ერთად მაქსიმალურად იყენებდნენ იმ დიდ შესაძლებლობებს, რომლებიც გააჩნიათ მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის განვითარებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ქალთა ჩაბმის საქმეს, განსაკუთრებით ხულოს, ქედის და შუახევის რაიონებში. ქედის რაიონის მაგალითი გვიჩვენებს (რომლის კალათბურთელ გოგონათა გუნდმა მე-3 ადგილი დაიკავა საქართველოს პირველობაზე), რომ აღნიშნული რაიონების ქალთა გუნდებსაც ისევე წარმატებით შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა საქართველოს პირველობებზე, როგორც ბათუმის, ქობულეთისა და ბათუმის რაიონის გუნდებს.

თვითკრიტიკულად უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ ჩამორჩება სპორტის ისეთი სახეობანი, როგორებიცაა თანამედროვე ხუთჭიდი, ფარიკაობა, წყალში ხტომა და ტანვარჯიში. ეს, პირველ ყოვლისა, გამოწვეულია სპორტის ამ სახეობების ნაკლები მასობრიობით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში ხაზგასმულია მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის დიდი მნიშვნელობა. ამ საკითხზე გამახვილებულ იქნა ყურადღება ახლახან ჩატარებულ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პლენუმზე.

მართალია, წელს აჭარის სპორტსმენმა მოსწავლეებმა გაცილებით უკეთესად [illegible] სეზონი, ვიდრე [illegible] გასულ წლებში, მაგრამ [illegible] უკეთესი იქნებოდა, რომ მათ გააჩნდეთ სათანადო პირობები ნორმალური მუშაობისათვის.

დღემდე დაუკომპლექტებელია ხულოს, ქედის და შუახევის სკოლები სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლებით, რაც დიდად უშლის ხელს ამ რაიონების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. უთუოდ საყვედურის ღირსი არიან საქართველოს განათლების სამინისტრო და რესპუბლიკური სპორტკავშირი, რომლებმაც, მიუხედავად ჩვენი მრავალგზის თხოვნისა, მხოლოდ ერთი უმაღლესი განათლების მქონე მუშაკი მოავლინეს ნაცვლად 12-სა.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით ჩვენთან გარკვეული მუშაობა იქნა ჩატარებული სოფლად ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ჯერ კიდევ გაგვაჩნია სერიოზული ნაკლოვანებები.

არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით აჭარის ასსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირთან საზოგადოებრივ საწყისებზე შევქმენით სასკოლო და სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განყოფილებები. განყოფილებების შემადგენლობაში შევარჩიეთ ფიზკულტურისა და სპორტის გამოცდილი მუშაკები, პენსიონერები. განყოფილება მუშაობას დიდი მონდომებით შეუდგა.

1962 წლის სპორტულ სეზონში ჩვენს წინაშე გაზრდილი მოთხოვნებია დასმული. კერძოდ, ჩვენმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ივალდებულეს მოამზადონ სპორტის 10 ოსტატი, 180 პირველი, 720 მეორე, 3260 მესამე და 1340 მოზარდი თანრიგოსანი სპორტსმენი. ფიზკულტურელთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს 5.000 კაცით. წელს მთლიანად დამთავრდება საცურაო აუზისა და ქედის სპორტული დარბაზის მშენებლობა, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის სპორტული დარბაზისა და სტადიონის რეკონსტრუქცია. ქობულეთის სტადიონზე მძლეოსნობის სექტორების, სარბენი ბილიკებისა და სპორტულ თამაშობათა მოედნების მოწყობა, ექსპლოატაციაში შევა ბათუმის საჭიდაო დარბაზი და სხვა ბაზები. ეჭვი არ არის, აჭარის ფიზკულტურული ორგანიზაციები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებები და წარმატებით განვლონ 1962 წლის სპორტული სეზონი.

სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებები ცხოვრებაში

ემზადებიან სპარტაკიადისათვის

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 41 წლისთავისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ჩატარდა ქუთაისის სამთო ტექნიკუმის პირველობა ფრენბურთსა და კალათბურთში.

ფრენბურთში ჩემპიონობა მოიპოვა III კურსის IV ჯგუფის გუნდმა. კალათბურთელთა ტურნირში გაიმარჯვა II კურსის III ჯგუფმა. ტექნიკუმის გუნდები მონაწილეობას მიიღებენ სპეციალურ სასწავლებელთა საზაფხულო სპარტაკიადაში, რომელიც თბილისში ჩატარდება.

ა. მახარაძე

ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთელები წელს პირველად მიიღებენ მონაწილეობას „დევისის თასის“ გათამაშებაში, რომელიც ფაქტიურად მსოფლიოს გუნდურ პირველობას წარმოადგენს.

ამ უაღრესად საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის მზადების პირველ ეტაპს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა სევეროდონეცკში, რომელიც მიზნად ისახავდა „დევისის თასის“ გათამაშებაში მონაწილე გუნდის სავარაუდო კანდიდატების შერჩევას. ჩოგბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ნაკრებში პერსონალურად არიან დაშვებული რ. სივოხინი, თ. ლეიუსი და ს. ლიხაჩოვი, ხოლო დარჩენილი 3 კანდიდატის საკითხი უნდა გაერკვია სევეროდონეცკის ტურნირსა და მომდევნო შეჯიბრებებს.

წინ კიდევაა საგამოცდო ღონისძიებები, მაგრამ სევეროდონეცკში გამართულ შეჯიბრებაზე თავი საუკეთესო მხრივ გამოავლინა ნ. მძინარიშვილმა. მის მიერ მოპოვებული მეორე ადგილი საშუალებას გვაძლევს ამოვხსნათ „სამუცნობიანი განტოლების“ პირველი უცნობი.

სურათზე თქვენ ხედავთ თ. ლეიუსსა და ნ. მძინარიშვილს ფინალური მატჩის შემდეგ (ზევით). მეორე სურათზე აღბეჭდილია ნიჭიერი თბილისელი ჩოგბურთელი ა. მეტრეველი, რომელიც უძლიერესთა ათეულში მოხვდა, ოსტატობა შესრულა და სპეციალური პრიზიც დაიმსახურა აქტიური თამაშისათვის.

ფოტოები ვ. სავიჩისა.

ჩემპიონატი ჭადრაკის ტრადიციულ ქალაქში

ზუგდიდის სპორტული საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეებს, რომლებიც მათს ქალაქში დაიწყებენ ჩვენი რესპუბლიკის XXIII ჩემპიონატს. ზუგდიდს ადრე არასოდეს უნახავს ერთად 40 ოსტატი, ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, რომელთა შორის არიან საქართველოს ჩემპიონი ბ. გურგენიძე, ა. ბლაგიძე, მ. შიშოვი, ა. ბუსლაევი, თ. გიორგაძე, გ. მაჭავარიანი, ა. იზვოზჩიკოვი, წყალტუბოელი ჯ. ბერაძე, ბათუმელი გ. ჭანტურია და სხვები. აქვეა მათი ქალაქის მკვიდრი მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ნ. გაფრინდაშვილი.

— ზუგდიდში ჭადრაკს კარგი ტრადიციები აქვს, — განაცხადა რაიონის საჭადრაკო სექციის თავმჯდომარემ, ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა ა. კუჭავამ, — გასულ საუკუნეში რუსეთსა და ევროპაში ფართოდ იყო ცნობილი ზუგდიდელი მოჭადრაკე ანდრია დადიანი, რომლის შესახებ დაცულია მასალები მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მაგრამ ჭადრაკმა ნამდვილი გაფურჩქვნა ჰპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. უკვე რამდენიმე წელია ზუგდიდში არსებობს კეთილმოწყობილი ჭადრაკის კლუბი, გვყავს თანრიგოსანი მოჭადრაკეები. სწორედ ამ მოჭადრაკეებთან ურთიერთობაში გამომჟღავნდა ნ. გაფრინდაშვილის დიდი ნიჭი, რომელიც შემდეგ მან სრულყო თბილისში. ზუგდიდში დაწინაურდა აგრეთვე ოსტატობის კანდიდატი თ. კიკიანი, პირველთანრიგოსანი მ. დემურია, გვყავს ნიჭიერი ნორჩი მოჭადრაკეებიც, მაგალითად, ა. ბაძაღუა.

ზუგდიდელმა მოჭადრაკეებმა, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ საწყისებზე დააარსეს ბავშვთა სპორტული სკოლა. ენთუზიასტებმა კარგადააწყეს საქმე და ჭადრაკს ჭეშმარიტი გულშემატკივრები შემატეს. სწორედ ამ ბავშვებისთვისაა სასარგებლო საქართველოს მოჭადრაკეებთან გაცნობა, მათი თამაშის ნახვა.

1960 წელს ზუგდიდში გაიმართა საქართველოს ქალთა პირველობა, ხოლო ვაჟთა XXIII ჩემპიონატი ამ ტრადიციის გაგრძელებაა.

— XXIII ჩემპიონატი გვპირდება დაძაბულ ბრძოლას, მით უმეტეს, რომ მასში ჩაებმება ნ. გაფრინდაშვილი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ჩემპიონატი მაღალ შემოქმედებითს და სპორტულ დონეზე ჩატარდეს, — თქვა დასასრულს ა. კუჭავამ.

26 თებერვალს გაიმართება პირველი ტური. ტურნირი გაგრძელდება 9 მარტამდე. დილით მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, ხოლო საღამოობით — მორიგი ტური.

რკინიგზელთა შეჯიბრება

თბილისში ორ დღეს გრძელდებოდა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ ამიერკავკასიის პირადგუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის (2), ქუთაისისა და სოხუმის გუნდები. შეჯიბრებაზე რატომღაც არ გამოცხადდა სომხეთის გუნდი.

ფინალში უმჩატესი წონის მოჭიდავე ზ. ყურაშვილმა დაამარცხა ო. ბენდიაშვილი. საინტერესოდ წარიმართა მჩატე წონის მოჭიდავეთა შეხვედრა. ქუთაისელთა ოსტატმა ა. დათეშიძემ 1 წუთსა და 40 წამში კარგად შესრულებული მოგვერდით წმინდა გამარჯვება მოიპოვა თბილისელ შ. გაბინაშვილზე.

ქვემსუბუქი წონის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის პირველი გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი რ. სოხაძე და II გუნდის (ვაგონშემკეთებელი ქარხნის) წარმომადგენელი ი. ლეონოვი. დაძაბული ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ.

საინტერესო გამოდგა ფინალური შეხვედრა ქვესაშუალო წონის მოჭიდავეთა შორის. ქუთაისელმა ოსტატმა ე. ერგემლიძემ 4 წუთსა და 10 წამში დაამარცხა თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდის წევრი ე. გაგნიძე.

პირველი ადგილი გუნდურ ჩათვლაში 16 საჯარიმო ქულით მოიპოვა თბილისის პირველმა გუნდმა. მას ოდნავ ჩამორჩა ქუთაისის გუნდი, რომელსაც 18 ქულა აქვს. ამდენივე ქულით მესამე ადგილზეა თბილისის II გუნდი.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულნი გამოვიდნენ: ზ. ყურაშვილი, ა. დათეშიძე (ორივე ქუთაისი), რ. სოხაძე, გ. გრიგორიანი (ორივე თბილისის პირველი გუნდი), ე. ერგემლიძე, ღ. ხარაბაძე (ორივე ქუთაისი), პ. ზანდუკელი (თბილისის II გუნდი), ვ. ბათლიძე (თბილისის I გუნდი).

ფ. კვირიკაშვილი

სურათზე: ქუთაისელ ზ. ყურაშვილისა და თბილისელ ო. ბედენაშვილის შეხვედრის მომენტი.

ფოტო ი. იუნაევისა.

დაუპატიჟებელი სტუმრები

როგორც ცნობილია, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ფართოდ გაუღო კარი ჯერ გერმანელ იმპერიალისტებს, ხოლო შემდეგ ინგლისის ჯარები მოიწვია „მხსნელად“. საქართველოში უცხოეთის არმიების ყოფნა, პირველ რიგში, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დამონების მიზანს ექვემდებარებოდა. ეს მიზანი, ცხადია, არც იდეოლოგიური დამონების ცდებს გამორიცხავდა.

არქივში მასალებზე მუშაობის დროს წავაწყდით ერთ დოკუმენტს (საქართველოს განათლების სამინისტროს ფონდი, №139, საქმე №284), რომელიც წარმოადგენს ვრცელ წერილს (თხოვნას), გაგზავნილს მენშევიკური მთავრობის განათლების მინისტრის სახელზე. წერილს ხელს აწერს ფიზიკური აღზრდის უცხოელ „სპეციალისტთა“ ჯგუფი. უცხოეთიდან ჩამოსული ეს მაძიებლები თხოვენ განათლების მინისტრს ნებართვას, რათა თბილისში გახსნან ე. წ. „ადამიანის ჰარმონიულად განვითარების ინსტიტუტი“, სადაც ქართველი ახალგაზრდები, პირველ რიგში კი გოგონები, შევიდოდნენ სასწავლებლად.

ამ ინსტიტუტში მეცადინეობის ჩატარებას წერილის ავტორები ითვალისწინებდნენ ვინმე გ. ი. გურჯიევის „მეთოდით“, რომელიც „დაფუძნებულია მტკიცე მეცნიერულ ცოდნაზე“. განგებ დახლართული, „მეცნიერული“ ენით გადმოცემული ფიზიკური აღზრდის გურჯიევისეული თეორიის არსი ასეთი იყო: ცივილიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანზე, მან ხელი შეუშალა ადამიანს ყოველმხრივ განვითარებაში. ამიტომ გურჯიევი ადამიანის სხეულს ადარებს „მოშლილი მანქანის მექანიზმს, სადაც ერთი ბორბალი ბრუნავს მეტად სწრაფად, მეორე — ნელა და ეს ამუხრუჭებს პირველს მაშინ, როცა მესამე სრულიად უმოქმედოდაა და არ მონაწილეობს მანქანის მუშაობაში“.

გურჯიევის აზრით ადამიანში არსებობს ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი წყარო: „აზროვნების, გრძნობის და მოძრაობისა. თავიანთ მოქმედებაში ისინი სავსებით ინდივიდუალური არიან. „ყველა სამი ცენტრის, — ნათქვამია წერილში, — შეთანხმებული ურთიერთმოქმედების არარსებობის მიზეზად ითვლება ის, რომ ადამიანში სამი სხვადასხვა ადამიანი ცხოვრობს, რომელთაგან ერთს მხოლოდ აზროვნება შეუძლია, მეორეს — შეგრძნება, მესამე ცხოვრობს წმინდა ცხოველური ცხოვრებით ყოველგვარი აზროვნებისა და გრძნობების გარეშე, რომელიც მხოლოდ თავისი ინსტიქტებით ხელმძღვანელობს“. გამომდინარე აქედან, გურჯიევი ლამობს ფიზიკური ვარჯიშების ფართოდ გამოყენებას, რაც დაეხმარება ადამიანს იმაში, რომ „სამივე ცენტრი ერთნაირად განავითაროს“.

მოყვანილი ადგილებიდან ნათელი ხდება, თუ რამდენად „მეცნიერულია“ ამ გურჯიევის „სისტემა“.

მიუხედავად ამისა, წერილის ავტორებმა ასეთი პასუხი მიიღეს თავიანთ თხოვნაზე: „ამით გაცნობებთ, რომ სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგმა ნება დაგრთოთ მედიცინის დოქტორს — შერნვალს, პროფესორ ჰარტმანს, სახელმწიფო თეატრის მსახიობ ზალზმანთან ერთად დააარსოთ ტფილისში საჰიმნასტო დაწესებულება შემდეგი სახელწოდებით: „ადამიანის ჰარმონიულად განვითარების ინსტიტუტი“.

საინტერესოა, ვინ არიან ეს პირები, ვის ხელში აქცევდა ასეული ქართველი ახალგაზრდის ჯანმრთელობის სადავეს მენშევიკური ხელისუფლება? მათგან მხოლოდ ზოგიერთის ვინაობის დადგენა შევძელით: ჟანა მატინსონზალზმანი იყო თბილისში რითმული ტანვარჯიშის სკოლის დამაარსებელი და მასწავლებელი, რომელიც ფრანგი თეორეტიკოსის ემილ ჟაკ დალკროზის სისტემით ხელმძღვანელობდა. იგი ჯერ კიდევ მენშევიკური მთავრობის გაბატონებამდე გადმოხვეწილა საქართველოში, სადაც ალბათ კარგ შემოსავალს ნახულობდა კერძო გაკვეთილებით.

გურჯიევი ფსევდონიმია ერთ-ერთი მდიდარი ბერძენისა, რომელსაც სახელად გეორგი ერქვა (გვარის დადგენა ვერ მოვახერხეთ). მას ფიზიკური აღზრდის არავითარი სისტემა არ ჰქონია, უფრო მეტი, მას წარმოდგენაც არ ჰქონდა ფიზიკურ აღზრდაზე საერთოდ. იგი ნამყოფი იყო ინდოეთში, საიდანაც თითქოს ჩამოიტანა ილუზიონისტური საიდუმლოებანი და საქართველოში მართავდა გასტროლებს, რაც შეეხება წერილის ავტორების მიერ გურჯიევის „სისტემის“ აღწერას, იგი წარმოადგენს ბურჟუაზიული თეორეტიკოსების — დალკროზის, ებერისა და დემენის ნაშრომებიდან ამოგლეჯილი ადგილების უსისტემო ნაერთს.

საგულისხმოა, რომ როცა კონსულტაციისათვის მივმართეთ მაშინდელი სპორტული მოძრაობის გამოჩენილ წარმომადგენლებს გ. მერკვილაძეს, დ. ჩიკვაიძეს, დ. ჯავრიშვილს და სხვებს, მათ არაფერი ჰქონდათ გაგონილი საქართველოში რითმული ტანვარჯიშის ინსტიტუტის გახსნის ცდების შესახებ. როგორც ჩანს, წერილის ავტორები შეგნებულად გაექცნენ ამ ადამიანებთან შეხვედრას და საქმის კურსში დაყენებას, რადგან მათ, როგორც სპორტის საუკეთესო მცოდნეებს, შეეძლოთ გამოეაშკარავებინათ უცხოელ მოღვაწეთა მიერ შეთითხნილი „თეორიების“ მთელი სიყალბე.

ა. ცაბაძე,

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საერთო ფიზიკური მომზადების ფაკულტეტის დეკანი.



სსრ კავშირის 1962 წლის პირველობა კალათბურთში

პირველი წრის შემდეგ ქალთა გუნდების გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	წ.	ქ.
სკა (ლენინგრადი)	5	5	0	5
„დინამო“ (მოსკოვი)	5	4	1	4
„სიბირიაჩკა“ (ნოვოსიბირსკი)	5	4	1	4
ტპი (რიგა)	5	3	2	3
ტარტუს უნივერსტ.	5	3	2	3
„სერპ ი მოლოტ“ (მოსკოვი)	5	3	2	3
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	5	2	3	2
„პოლიტექნიკი“ (კაუნასი)	5	2	3	2
„ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)	5	2	3	2
„ინედორსტროი“ (კიშინიოვი)	5	1	4	1
„ბურევესტნიკი“ (როსტოვი)	5	1	4	1
„ტექსტილმაში“ (ტაშკენტი)	5	0	5	0

ახალგაზრდა მხატვართა კუთხე



თენგიზ,
გიორგი
და
თამაზ
ბარამიძეების
მოშაშეთა
„ანსამბლი“.

მეგობრული შარჟი
გ. დოლიძისა.

„დადებითად უნდა გადაიჭრას ეს საკითხი“

ჰოკეისტთა 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი თქვეს ჩვენი ქვეყნის ჰოკეის ფედერაციამ, ჩეხოსლოვაკიამ, რუმინეთმა, ასე რომ, მსოფლიო პირველობას აშკარა ჩაშლა ელის, მაგრამ სულ სხვას ფიქრობენ მისი ორგანიზატორები. აშშ-ს ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ბრაუნს გამბედაობა ეყო და განაცხადა: „შეჯიბრება კოლორადო-სპრინგსში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება, რომელიც კი ოდესმე ყოფილა სპორტის ამ სახეობის ისტორიაში“. ვიცე-პრეზიდენტს უნდა მოვაგონოთ, რომ თუ ზემოაღნიშნული გუნდები მონაწილეობას არ მიიღებენ მსოფლიო პირველობაზე, უძლიერესი ჯგუფის 28 მატჩის ნაცვლად ჩატარდება მხოლოდ 10. და თუ მაშინ ვიცე-პრეზიდენტის სიტყვები გამართლდება — ეს იქნება მართლაც „უჩვეულო“ ჩემპიონატი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა თხოვნით მიმართა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ მან ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასვლის ვიზები მისცეს გდრ-ის ჰოკეისტებს. რამდენიმე ხნის წინათ ჩეხოსლოვაკიის ჰოკეის ცენტრალურმა სექციამ თხოვა ბრენდეჯს გამოეყენებინა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დიდი გავლენა, რომ გდრ-ის გუნდს შესაძლებლობა ჰქონოდა მონაწილეობა მიეღო მსოფლიო ჩემპიონატში.

„ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ დადებითად გადაიჭრას ეს საკითხი, — განაცხადა ე. ბრენდეჯმა. ჩვენი პოზიცია უცვლელია. ყოველი ქვეყნის სპორტსმენებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სპორტის ოლიმპიური სახეობათა შეჯიბრებებში. სპორტი თავისუფალია პოლიტიკისაგან. ბრენდეჯმა დაუმატა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მზადაა გდრ-ის ჰოკეისტებს მისცეს ოლიმპიური პირადობის მოწმობები, ხოლო ამ მოწმობების მფლობელებს უფლება აქვთ ვიზის გარეშე ჩავიდნენ ოლიმპიური თამაშების მომწყობ ქვეყანაში. ე. ბრენდეჯმა იმედი გამოთქვა, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ანგარიშს გაუწევს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.

კილომეტრები... კილომეტრები...

რამდენი შეიძლება ირბინოს ადამიანმა?

ძნელია რაიმე გარკვეულის თქმა ამის თაობაზე. სხვადასხვა პირობებში, სხვადასხვა დროს მრავალი ფაქტია შემორჩენილი იმისა, რომ ადამიანს საოცრად დიდი მანძილი გაურბენია.

სპორტის ისტორიამ იცის ხუთდღიანი რბენა 500 და მეტ კილომეტრზე, იცის გიგანტური შვიდკვირიანი მარათონიც, ე. წ. „დიდი რბენა“ წყნარი ოკეანიდან ატლანტიკის ოკეანემდე, რომლის საერთო სიგრძე 5.509 კილომეტრს უდრიდა.

ოკეანიდან ოკეანემდე გარბენის იდეა ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ ბიზნესმენს სპორტის დარგში მ. პაილს.

1.120 მორბენალს შორის, რომლებმაც სტარტი აიღეს, იყვნენ ოლიმპიური პრიზიორი ჰანსენი, ცნობილი მარათონელები ლოსმანი, სტენროოსი, ლონდონის „ბროლის სასახლეში“ ცხენებთან შეჯიბრებაში გამარჯვებული ინგლისელი უოტსი და სხვა „ვარსკვლავები“.

ლოს-ანჟელოსში მორბენლებს სტარტი მისცა თვით საქვეყნოდ განთქმულმა „კინოღმერთმა“ დუგლას ფერბენქსმა, რომელსაც ასეთი შემთხვევებისათვის ყოველთვის მზად ჰქონდა თავისი განუმეორებელი ღიმილი. მან ცერემონიალური ჟესტით აიქნია დროშა და 1.120 „მძლეოსანი-გლადიატორი“ გაუდგა შორეულ გზას ამერიკის კონტინენტის გადასალახავად წყნარი ოკეანიდან ატლანტიკის ოკეანემდე. მორბენლებს თან გაჰყვა ვეება ამალა: 350-ზე მეტი ავტობუსი და მსუბუქი მანქანა რესტორნებით, საგზაო სასტუმროებით, აბანოებით, რადიოსადგურებით, საპარიკმახეროებით, კორესპონდენტებით, კინო და ფოტორეპორტიორებით. თვით ყოვლისმნახველი ამერიკელებიც კი განცვიფრებაში მოიყვანა ამ ზღაპრულმა სარეკლამო ქარავანმა.

ასე გრძელდებოდა რბენა 7 კვირას. და ბოლოს, როგორც იქნა გამოჩნდა ფინიში — ნიუ-იორკი. მაგრამ 1.120 მორბენლიდან მას მიაღწია მხოლოდ 50-მა. დისტანციიდან ჩამოსულთა რიცხვი 50-ჯერ აღემატებოდა ფინიშს მიღწეულთა რაოდენობას.

ყველაზე დიდი მანძილი, რომელიც ოლიმპიური სამოყვარულო პროგრამით არის გათვალისწინებული, უდრის 42 კილომეტრსა და 195 მეტრს. მას მარათონულ დისტანციას უწოდებენ.

... ეს მოხდა V საუკუნეში ჩვენს ერამდე. ლეგენდარულმა ბერძენმა მეომარმა ათენში ჩამოიტანა ამბავი ბერძენთა მიერ მარათონის მახლობლად სპარსელთა ჯარის განადგურების შესახებ, მან შეუსვენებლად გაირბინა 42 კილომეტრი, მოასწრო ერთადერთი სიტყვის თქმა: „გამარჯვება“ და უსულოდ დაეცა ამ მანძილისა და თავისი ცხოვრების ფინიშზე.

ძველი ბერძენის ეს გმირობა ლეგენდად შემორჩა ისტორიას. მის მიერ გარბენილი მანძილი შემდგომში საგანგებოდ იქნა გაზომილი, შემოწმებული და შეტანილი ოლიმპიური თამაშების ისტორიაში. მას ასეც ეწოდა: მარათონული რბენა — 42 კილომეტრი და 195 მეტრი.

I ოლიმპიურ თამაშებზე ათენში 1896 წელს მორბენლებმა გაიმეორეს ბერძენი მეომრის გზა და ფინიშთან პირველი მივიდა მისი თანამემამულე, პროფესიით ფოსტალიონი — სპირიდონ ლუისი. იგი ეროვნულ გმირად იქნა აღიარებული. ს. ლუისი უხვად დაასაჩუქრა საბერძნეთის ხელისუფლებამ, აუგეს შესანიშნავი სახლი, მისცეს ფულადი პრემია. მას 10 წლის განმავლობაში უფასოდ შეეძლო ესადილა ათენის საუკეთესო სასტუმროში.

მაგრამ მარათონული რბენა ყოველთვის როდი მთავრდებოდა ასე მშვიდობიანად. IV ოლიმპიურ თამაშებზე 1908 წელს ლონდონში, მაყურებლები მქუხარე ტაშით შეეგებნენ მორბენალს, რომელიც პირველი გამოჩნდა სტადიონის შემოსასვლელში, მაგრამ ტაში მაშინვე შეწყდა და ტრიბუნაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. რბენის ლიდერი, იტალიელი პიეტრო დორანდო ადამიანს არა ჰგავდა. იგი მთელი თავისი ძალების არაადამიანური დაძაბვით ცდილობდა აემოძრავებინა ფეხები, მაგრამ ისინი ველარ ემორჩილებოდნენ პატრონს. დორანდო წაიქცა, წამოდგა, ძლივს გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და კვლავ წაიქცა. ერთხანს იგი უძრავად იწვა სარბენ ბილიკზე. ამ სურათის გაძლება არა თუ მაყურებლებს, მსაჯებსაც არ შეეძლოთ. ორი მათგანი მოუჰრა იტალიელს, წამოაყენა იგი, სპორტსმენმა მათი დახმარებით მიაღწია ფინიშს. დახმარების გაწევა სპორტსმენისათვის წესის დარღვევაა, ამიტომ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონად გამოცხადებულ იქნა არა პ. დორანდო, არამედ ამერიკელი ჯ. ჰეისი, რომელმაც მანძილი გაირბინა 2 საათში, 55 წუთსა და 4 წამში.

VII ოლიმპიურ თამაშებზე ესპანელმა აუდიამ და ფინელმა ეკიმ მოულოდნელად პირი იბრუნეს და შუა გზიდან უკან გაუდგნენ გზას. მხოლოდ მაყურებელთა ყვირილმა გამოაფხიზლა ისინი და კვლავ დააყენა სწორი მიმართულებით.

ამგვარი შემთხვევა მარათონულ რბენაში ხშირად ყოფილა, მაგრამ ყველაზე ტრაგიკული იყო მარათონის ფინალი ბრიტანულ თამაშებზე 1954 წელს ქ. ვანკუვერში. მაყურებლები უკვე ინფორმირებული იყვნენ, რომ რბენას დიდი დაცილებით ლიდერობდა ცნობილი მარათონელი, ინგლისელი ჯ. პიტერსი. იგი მართლაც პირველი გამოჩნდა სტადიონზე, მაგრამ ადამიანს, რომელმაც 42 კილომეტრი გაირბინა, ზედ ფინიშის წინ უმტყუნა ღონემ. ჯ. პიტერსს მიწისფერი ედო სახეზე, წარმოუდგენელი დაძაბვით ცდილობდა როგორმე გაევლო დარჩენილი მეტრები და ძლივს მიათრევდა ფეხს. მას დიდი უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული დისტანციაზე — 10 წუთი და ამ 10 წუთის განმავლობაში სტადიონი მოწმე იყო იმისა, თუ როგორ ებრძოდა მძლეოსანი უკიდურეს მოქანცულობას.

ჯ. პიტერსი მიწაზე მიხოხავდა წინ. უეცრად მან რაღაც თეთრ ზოლს მოჰკრა თვალი, ფინიშის ხაზად მიიჩნია იგი, ძლივს მიაღწია მას და გულწასული დაეცა ზედ. მაგრამ ეს არ იყო ფინიშის ხაზი. ჯ. პიტერსი საკაცით გაიყვანეს სტადიონიდან.

მაგრამ ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, გამონაკლისი შემთხვევებია. თანამედროვე სტაიერები, რომლებიც სპეციალურ მზადებას გადიან მარათონისათვის, საკმაოდ იოლად დარბიან ამ ზეგრძელ დისტანციაზე და ბრწყინვალე შედეგებსაც აღწევენ. მსოფლიო რეკორდი მარათონში ეკუთვნის ეთიოპიელ მძლეოსანს, ოლიმპიურ ჩემპიონ ბიქილა აბებეს და უდრის 2 საათს, 15 წუთსა და 16,2 წამს. ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდის მფლობელია ირკუტსკელი ს. პოპოვი — 2:15,17,0. საქართველოს რეკორდი ეკუთვნის სოხუმელ ვ. ზახაროვს — 2:28.01,6.

ქ. მაჩაიძე

• • •

სურათებზე: ზევით — პ. დორანდოს სამწუხარო ფინიში ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე. ქვევით — პირველი ოლიმპიური თამაშების გმირი, მარათონულ რბენაში გამარჯვებული ს. ლუისი.

ფეხბურთის ქრონიკა

განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასზე ფეხბურთში მადრიდის „რეალსა“ და იტალიის ჩემპიონს — „იუვენტუსს“ შორის შედგა ესპანეთის დედაქალაქში. პირველი მატჩი „რეალმა“ „იუვენტუსს“ მოუგო მისსავე მინდორზე ტურინში — 1:0. ამიტომ მადრიდელთა გასვლა ნახევარფინალში თითქმის არ იწვევდა ეჭვს. მაგრამ იტალიელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩი და თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს იგი იმავე ანგარიშით—1:0. ერთადერთი ბურთი გატანილ იქნა მარცხენა გარემარბ ო. სივორის მიერ.

ვინაიდან „რეალსა“ და „იუვენტუსს“ ამჟამად ქულათა თანაბარი რაოდენობა და ბურთების ერთნაირი შეფარდება აქვთ, მათ შორის უნდა შედგეს მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა. იგი გაიმართება 28 თებერვალს, პარიზში.

შედგა პირველი მატჩი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასზეც. ურუგვაის ჩემპიონმა „ნასიონალმა“ მოუგო პერუს ჩემპიონს — „სპორტინგ კრისტალს“ — 1:0.

რედაქტორი ი. უგულავა

ხ ვ ა ლ!

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილების სალექციო დარბაზში მუშაობას დაიწყებს ზეპირი ჟურნალი

„სპორტი“

ჟურნალის პირველ ნომერში მონაწილეობენ: სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ლოლობერიძე — „როგორ ვემზადებით მომავალ სეზონისათვის“, — სსრკ დამსახურებული მწვრთნელი ვ. კუხიანიძე — „მოსკოვის შესარჩევი ტურნირი და მსოფლიო პირველობა“, საერთაშორისო ოსტატი ვ. გოგლიძე — „სტოკჰოლმის პრეტენდენტთა ტურნირის პერსპექტივები“.

დასაწყისი 7 საათზე. ჟურნალის შემდეგ ნაჩვენები იქნება სპორტული ფილმები.

28 თებერვალს, თბილისის ოფიცერთა სახლის შენობაში შედგება დოსააფის III რესპუბლიკური კონფერენცია
დასაწყისი 12 საათზე,

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის —3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14,
უე 00930